კალენიკე ურიდია*

ქართული პარლამენტარიზმის ევოლუციის გზა ისნის კარვიდან თანამედროვეობამდე

განსახილველი თემა თავისი არსითა და სტრუქტურით მნიშვნელოვანია ქართული რეალობისთვის, რადგან საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, აუცილებელია წარმომადგენლობითი ორგანოს ისტორიასა და ჩამოყალიბების ეტაპებს კარგად ვიცნობდეთ. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში არსებული მოვლენებისა თუ მოღვაწეთა თეორიული ნააზრევის შეჯერება წარმომადგენლობითი ორგანოს ირგვლივ. ნაშრომში განხილული იქნება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე, მეფე თამარის მმართველობა და ძალაუფლება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამდე და გამოსვლის შემდეგ პერიოდში.

შედარებითი სამართლებრივი ანალიზის ჭრილში, ყურადღება გამახვილდება სიმონ დე მონფორსა და ინგლისის პარლამენტარიზმზე. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მიმოხილული იქნება იოანე ბაგრატიონისა და სოლომონ დოდაშვილის მოსაზრებები, რომლებიც შეეხება წარმომადგენლობითი ორგანოსა და დემოკრატიული მმართველობის ფორმირების საჭიროებას. ასევე, ყურადღება გამახვილდება ლოკისა და მონტესკიეს შეხედულებებზე, ხელისუფლების დანაწილების საკითხთან დაკავშირებით, ჟან-ჟაკ რუსოსა და ვოლტერის პოლიტიკურ იდეებზე სახელმწიფო მმართველობის თეორიასთან დაკავშირებით და რუს დეკაბრისტთა რესპუბლიკურ პოლიტიკურ პროგრამაზე. დასასრულს, დასკვნის სახით კი, ჩამოყალიბდება ავტორის პოზიცია განსახილველი საკითხის სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: *პარლამენტი, ისანი, წარმომადგენლობითი ორგანო, ასახვითი დემოკრატია, ყუთლუ-არსლანი, თამარ მეფე, ფილოსოფოსები.*

შესავალი

მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დღევანდელი დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენს. საკანონმდებლო ხელისუფლება იმ შტოთაგანია, რომელიც მმართველობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. წარმომადგენლობით ორგანოსთან დაკავშირებული საკითხები ძალზედ აქტუალურია, არსებული რეალობიდან გამომდინარე, რამაც მეტად საინტერესო გახადა პარლამენტის, როგორც იდეის, წარმომავლობისა და განვითარების ძიება ქართულ რეალობაში.

საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა, რაც ნიშნავს იმას, რომ პარლამენტი ეფექტური მმართველობის მთავარი ღერძია, ის კისრულობს რიგ ვალდებულებებს, რომელთა შესრულება აუცილებელია ქვეყნის შეუქცევადი განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია პარლამენტარიზმის საწყისების ძიება საქართველოს ისტორიაში, საინტერესო იქნება იმ

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული, იურისტი და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებსა“ და იურიდიულ ფირმა „კაიკაციშვილი და ადვოკატებში“.

პროგრესული მოსაზრებების განხილვა, რომლებიც გვხვდება პირდაპირ თუ ირიბად ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შრომებში.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დასახელებულ მოვლენათა თუ მოაზროვნეთა პოზიციებს შორის იდეური ბმის წარმოჩენა, აღნიშნული კავშირის გამყარება ფილოსოფოსთა მოსაზრებებით. განვითარებული მსჯელობით, ფაქტებსა და იდეებს შორის ლოგიკური ბმის არსებობით იმაზეა ხაზგასმა, რომ 1919 წელს საყოველთაო წესით არჩეული საქართველოს დამფუძნებელი კრება იყო ჯერ კიდევ თამარის ეპოქიდან გამოძახილი, რომელსაც, თეორიულად, მხარი აუბეს ნაშრომში წარმოდგენილმა მოაზროვნეებმა და ხორცი შეასხეს XX საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებმა.

1. **ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა - ისნის კარავი**

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ ცნობებს გვაწვდის თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი, თუმცა მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ძალიან ფრაგმენტული, აპოლოგეტური და მიკერძოებულია, ამიტომ იგი ამ მოძრაობის შესახებ არასრულ წარმოდგენას გვიქმნის.[1] გამომდინარე აქედან, ყუთლუ-არსლანის პიროვნების, მისი პოლიტიკური პროგრამის სამართლებრივი და სოციალური ბუნების შესახებ მსჯელობისათვის აუცილებელია ზოგადად განხილულ იქნეს გიორგი III-ის მოღვაწეობა, თამარის მიერ გატარებული პოლიტიკა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამდე, უშუალოდ, აჯანყებულთა შეხედულებანი და მონარქის ძალაუფლება ამბოხის მშვიდობიანად აღმოფხვრის შემდეგ.[2]

1.1. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლამდე არსებული რეალობა გაერთიანებულ საქართველოში

თამარის გამეფებას წინ უძღოდა რიგი ისტორიული პროცესები, რომელმაც განსაზღვრა შემდგომში ქვეყნის ბედი. დავით IV აღმაშენებლის დიდებული მემკვიდრეობა ჩაიბარა დემეტრე I-მა. მეფე დემეტრეს შემდეგ სამეფო ტახტი უფროს ძეს - დავითს ეკუთვნოდა, მაგრამ მეფე უპირატესობას უმცროს შვილს, გიორგის, ანიჭებდა. დავითმა 1155 წელს ტახტიდან გადააყენა მამამისი და ექვსი თვის განმავლობაში მართავდა სახელმწიფოს. სიკვდილის წინ დავით V-მ თავის ძმას გიორგის სთხოვა, მას ემართა სამეფო დემნას სრულწლოვანებამდე, შემდეგ კი ის აეყვანა ტახტზე. სამეფო ტახტი კვლავ

[1] *დარბაიძე ლ.,* ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(40)’14, 2014, 50.

[2] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 50-55.

დემეტრე I-მა დაიკავა, რომელმაც თავის სიცოცხლეშივე გიორგი უფლისწული მეფედ გამოაცხადა.[3]

გიორგი III-ის გამეფების შემდეგ 1177 წელს ქართველ წარჩინებულთა დიდი ნაწილი მეფეს აუჯანყდა, აჯანყებას ამირსპასალარი ივანე ორბელი მეთაურობდა, მათი მიზანი კი უფლისწულ დემნას გამეფება იყო. მონარქმა მოახერხა ამბოხებულთა დამარცხება. ივანე ორბელს თვალები დათხარეს, რამდენიმე პირი სიკვდილით დასაჯეს, დემნა უფლისწული კი წამების შედეგად გარდაიცვალა. გიორგი III-მ მოღალატე დიდებულებს მამულები და სახელოები ჩამოართვა და ერთგულებს გადასცა.[4]

დემნა უფლისწულის ამბოხებიდან ერთი წლის შემდეგ მონარქმა თანამოსაყდრედ დაისვა მისი ერთადერთი შვილი, თამარი. ისინი, 1178-1184 წლებში ერთიანი ძალებით მართავდნენ გაერთიანებულ საქართველოს. მამის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახ ტზე ახალგაზრდა, 24 წლის მეფე-ქალი აღმოჩნდა. დიდებულებმა თამარი ხელმეორედ აკურთხეს, რათა წარმოეჩინათ თავიანთი გავლენა ამავე დროს, ისინი აქტიურად იბრძოდნენ ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობების დაუფლებისათვის, რაშიც ხელს უშლიდნენ გიორგი III-ის დროს დაწინაურებული „აზნაურის ყმობიდან აღზევებული“ ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი. დიდებულები მათ გადაყენებას მოითხოვდნენ, თამარმა დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა, გადააყენა „უგვარო“ მოხელეები. ეს პროცესები დასრულებული არ იყო, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ყუთლუ-არსლანის დასი.

2.2 ამბოხებულთა მიზანი - კარავი, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო

ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა ისანში სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით, სრულიად ახალი დაწესებულების, „კარვის“ ჩამოყალიბებას, რომელიც საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას გააკონტროლებდა, ხოლო მეფეს რჩებოდა მათი აღსრულების მოვალეობა. თავის მხრივ, მეფეს „კარავთან“ არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა, იგი არ უნდა დასწრებოდა „კარვის“ სხდომებს, მას არ უნდა ჰქონოდა აღნიშნული ორგანოს მიერ მიღებული დადგენილების შეჩერების უფლება, მონარქი მხოლოდ აღმასრულებელი ძალაუფლებით იქნებოდა აღჭურვილი.[5] იდეა, რომლითაც გამოვიდნენ დასის წევრები, პროგრესული შინაარსის იყო. მისი ხორცშესხმით მივიღებდით წარმომადგენელთა ორგანოს, რომელიც შეასრულებდა იმ ვალდებულებებს, რასაც ასრულებს თანამედროვეობაში პარლამენტი.

---

[3] *დარბაიძე ლ.,* ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., №1(40)’14, 2014, 48.

[4] *ყაუხჩიშვილი ს.,* ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, 20.

[5] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 46-55.

ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, „კარავი“, მაშინდელი წყაროების მიხედვით, „დარბაზის“ სინონიმი იყო, დარბაზი კი ფეოდალებისაგან შემდგარი სახელმწიფოს უზენაესი ორგანო, რომელიც შედგებოდა საერო და საეკლესიო დიდი მოხელეებისაგან.[6] ყუთლუ-არსლანი დარბაზის წევრი იყო, რადგან ის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას იკავებდა სამეფო კარზე, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ აჯანყებულებს დარბაზისგან სრულიად განსხვავებული დატვირთვის ორგანოს დაარსება ჰქონდათ განზრახული, რომელსაც ექნებოდა ის უპირატესობანი, რაც უკვე განხილულ იქნა.

საინტერესოა, ვის ეკუთვნის იდეა, რომლის განხორციელებისთვისაც იბრძოდნენ დასის წევრები. აღნიშნული იდეის ავტოქტონობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თამარის პირველი ისტორიკოსის ფრაზამ: *„ყუთლუ-არსლან... მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა“.*[7] ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით არც იმ პერიოდის სპარსეთსა და არც აღმოსავლეთის სხვა რომელიმე ქვეყანაში ამგვარი შინაარსის წესი არ არსებობდა.[8] პროფესორის მოსაზრებით: *„პოლიტიკურ ცხოვრებაში არაერთხელ მომხდარა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის სახელის გასატეხად მისი პროგრამა უცხოელთაგან ნაკარნახევად ან ნასესხებად გამოუცხადებიათ“.*[9] მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ თამარის უცნობი ისტორიკოსის მიერ ნახსენები „სპარსული წესი“ შესაძლოა უკავშირდებოდეს მალიქ შაჰის კარზე მოღვაწე მსახურის ნიზამ-ალ-მუქის „სიასეთ-ნამეს“, რადგან დასახელებულ ნაშრომში საუბარია ბრძენ ხალხთან და მეცნიერებთან მეფის თათბირის სარგებლიანობაზე.

ყურადსაღებია, რომ ყუთლუ-არსლანის დასის იდეის დაკავშირება „სიასეთ-ნამეს“ სიუჟეტთან გაუმართლებელია, რადგან, ის იდეა, რაც ამ ნაწარმოებშია გაცხადებული, უფრო ახლოს არის დარბაზთან, ვიდრე იმ ორგანოსთან, რომლის შექმნასაც ითხოვენ ამბოხებულები. დასი, რომელიც შეეწინააღმდეგა მეფეს, ითხოვდა დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ორგანოს ჩამოყალიბებას, რომლის საქმიანობა განცალკევებული იქნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისაგან და არა ისეთი ორგანოს შექმნას, რომელიც მეფესთან ერთად გადაწყვეტდა ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რადგან ამ ფუნქციის დაწესებულება, დარბაზის სახით, არსებობდა ქართულ რეალობაში. სწორედ ამიტომ, გასაზიარებელია ივანე ჯავახიშვილის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა კარავის, როგორც პარლამენტარიზმის იდეის დონეზე არსებობასთან დაკავშირებით. მეცნიერ ილია ანთელავას მიაჩნია, რომ ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა ცენტრალური აპარატის გამოყოფას მეფის ხელისუფლებისაგან და არ ითვალისწინებდა არავითარ პარლამენტური ან მისი მსგავსი ტიპის ორგანოს

[6] *ჯავახიშვილი ივ.,* ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაწილი II, თბ., 1929, 237-245.

[7] *სოსელია გ.,* ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური დასის პროგრამის შესახებ, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტომი X-XI, 1958, 58.

[8] *დარბაიძე ლ.,* ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., №1(40)’14, 2014, 51.

[9] იქვე.

შექმნას. [10] მკვლევარს მიაჩნია, რომ დასის გამოსვლა მიმართული იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისკენ. ილია ანთელავას აღნიშნული მოსაზრება დაფუძნებულია „მიცემის“, „მოღების“, „წყალობის“ და შერისხვის“ ახლებულ გაგებაზე [11] . მეცნიერს დასაშვებად მიაჩნია, ამ ტერმინების სინონიმებად ჩათვლა. იგი იმოწმებს ივანე ჯავახიშვილს, რომლის აზრითაც, „მიცემაში“ სახელოს მიცემა, ხოლო „მოღებაში“ მოხელეობის წართმევა შეიძლება იყოს ნაგულისხმევი.[12]

საგულისხმოა, რომ დასახელებული სიტყვების სინონიმებად გაგება დაუშვებელია, რადგან ძველ ქართლი სამართალში ისინი გამოიყენებოდა სხვადასხვა ინსტიტუტის აღსანიშნავად. ხსენებული საკითხის ირგვლივ გასაზიარებელია მეცნიერთა მოსაზრებები, რომლებიც თვლიან, რომ: „თუნდაც, რომ დაგვეშვა იდენტურობა „წყალობა“-„მიცემის“ და „მოღება“-„შერისხვისა,“ ანუ პირველ დაწყვილებაში მხოლოდ მოხელეობის მიცემა იგულისხმებოდეს, ხოლო მეორეში – მოხელეობის წართმევა და ყუთლუ-არსლანის საპროგრამო მოთხოვნა აქამდე დაგვეყვანა, ასეთი მოთხოვნაც ვერ მოთავსდებოდა *„მდივნის“ (კანცელარიის), თუ ადმინისტრაციული ხელისუფლების კომპეტენციაში.“*.[13]

იმაზე აპელირება, რომ დასის გამოსვლა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას ისახავდა მიზნად, არამართებულია და ამ ნაწილშიც არაა გასაზიარებელი მეცნიერის შეხედულება, რადგან, თუ ვიმსჯელებთ დასის შემდგომ მეფის ძალაუფლების მოცულობაზე, ცხადი გახდება, რომ ის მკვეთრად შეიზღუდა და რიგი უფლებებისა გადაეცა დარბაზს. დასის წევრთა თავდაპირველი მოთხოვნები რომ განხორციელებულიყო, მეფის ძალაუფლება მეტად შეკვეცილი იქნებოდა.

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის იდეასთან, მის არსთან დაკავშირებით, სრულიად გასაზიარებელია მეცნიერ სიმონ ყაუხჩიშვილის აზრი. დასის პროგრამის მიხედვით, საქართველოში პარლამენტური წყობილება უნდა დამყარებულიყო, ისნის კარავი იქნებოდა საკანონმდებლო ორგანო, ხოლო მეფეს აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა.[14]

მიუხედავად პროგრესული იდეისა, მონარქიულ მმართველობას მიჩვეული სახელმწიფოსთვის მოულოდნელად სუვერენის ძალაუფლების რადიკალური შეზღუდვა და ახალი ორგანოს წარმოშობა ძნელად აღსაქმელი და გასააზრებელი იყო. დასის გამოსვლა მეტნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. ის, რასაც ამბოხებულები ითხოვდნენ, სრულად არ განხორციელდა, მაგრამ მონარქი მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდა, რაც, უნდა აღინიშნოს, რომ მიუთითებს არა მეფის სისუსტეზე, არამედ შორსმჭვრეტელობაზე, სტაბილური

---

[10] იქვე, 52.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 46-55.
[14] *ყაუხჩიშვილი ს.,* ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, 15.

განვითარებისა და წინსვლის სურვილზე, რაც სამომავლოდ აისახა კიდეც ქვეყნის ისტორიაზე.[15]

შედეგი, რომელიც დაუმორჩილებლობას მოჰყვა, იყო დარბაზის უფლებების გაზრდა, რამაც შედარებით შეამჭიდროვა მეფის ძალაუფლებანი. აღნიშნულის შესახებ პირდაპირი მითითება არ არის, მაგრამ მის გარკვევას შეეცადა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც საინტერესოდ წარმოაჩინა მეფისა და დასის წევრებს შორის კონსენსუსის შინაარსი. პროცესების დასრულების შემდეგ, თამარის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ღვთისაგან კურთხეული თამარი სამეფო კარზე მართავდა ქვეყანას.[16] ამას უშუალოდ მოსდევს თხრობა დიდი მოხელეების შესახებ. მემატიანე მოგვითხრობს ვაზირების არჩევის პროცედურასთან დაკავშირებით, რაზედაც ივანე ჯავახიშვილი განმარტავს, რომ „თანადგომა“ მონაწილეობას ნიშნავდა, ხოლო „გამორჩევა“-არჩევას, „ერთიანობა“ - ერთხმიანობას. მაშასადამე, ეს ვაზირები საქართველოს ყველა დიდებულის მონაწილეობით ერთხმად ყოფილან არჩეული სახელმწიფო დარბაზის მიერ.[17] აღნიშნული მოწმობს იმას, რომ დარბაზს უფლებამოსილებანი გაუფართოვდა და გვევლინება, როგორც თანნამმართველი მონარქთან ერთად.

აუცილებელია პარალელის გავლება ყუთლუ-არსლანის დასის იდეასა და აჯანყების შემდგომ არსებულ დარბაზს შორის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ, ის იდეები, რაც დასის წევრებს ჰქონდათ, აისახა დარბაზის უფლებამოსილებებში, რაც შეიძლება ყოფილიყო ის კონსენსუსი, რომელსაც მხარეებმა მიაღწიეს. ამით მეფის, ახლად აღზევებული მონარქის, რეპუტაციაც ნარჩუნდებოდა და ნაწილობრივ მიიღწეოდა ის შედეგი, რაც ყუთლუსა და მის მომხრეებს სურდათ.

2.3. სიმონ დე მონფორი და ინგლისის პარლამენტარიზმი

მსოფლიოში დღემდე ფართოდ გავრცელებული შეხედულებით საპარლამენტო ტრადიციების ფუძემდებელ ქვეყნად მიჩნეულია ინგლისი,[18] მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს მსგავსი ინსტიტუტი პირველად ჩაისახა 1188 წელს ესპანეთში, კორტესების სახით.[19] ყურადღება გასამახვილებელია ინგლისის პარლამენტარიზმის საწყის ნაბიჯებზე

[15] *სოსელია გ.,* ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური დასის პროგრამის შესახებ, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტომი X-XI, 1958, 60.

[16] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 52-53.

[17] იქვე.

[18] იხ. ციტირება: *Cavill P. R.,* A Short History of Parliament: England, Great Britain, the United Kingdom, Ireland, and Scotland, The Journal of Modern History, Vol. 83, №2, 2011, 404; *Bond M.,* The History of Parliament and The Evolution of Parliamentary Procedure, a Verbatim Transcript of Two Lectures, 1966, 3-4; *Hoskin P.,* Cantilupe's Crusade: Walter de Cantilupe Bishop of Worcester and the Baronial Rebellion, Transactions of the Worcestershire Historical Society, 2012, 91.

[19] *Merriman R. B.,* The Cortes of the Spanish Kingdoms in the Later Middle Ages, The American Historical Review, Vol. 16, №3, 1911, 479.

იმდენად, რამდენადაც აუცილებელია შედარებითი ანალიზისათვის. მაშინ, როდესაც ინგლისსა და გაერთიანებულ საქართველოში მიმდინარე პროცესებს ვადარებთ, ნაშრომის თემატიკის ჭრილში, ყურადღება უნდა გამახვილდეს ყუთლუ-არსლანისა და სიმონ დე მონფორის მოღვაწეობასა და წარმომავლობაზე.

არ არსებობს ერთიანი შეჯერებული პოზიცია ყუთლუ-არსლანის წარმომავლობასთან დაკავშირებით. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში ყუთლუ-არსლანი უგვაროდ, მაგრამ სიმდიდრით განდიდებულად არის მოხსენიებული. მაშასადამე, ის წარმოშობით ძირძველ ფეოდალებს არ ეკუთვნოდა. [20] საგულისხმოა,რომ ყუთლუ იყო „გვარით უაზნო“, რომელიც სიმდიდრემ „აღამაღლა“, მან დაიკავა მეჭურჭლეთუხუცესის სახელო და მისი ფუნქციიდან გამომდინარე, ყველაზე გავლენიან მოხელედ უნდა იქნეს მიჩნეული.[21] თუმცა, თუ კრიტიკულად შევხედავთ არსებულ მსჯელობას, მაშინ უნდა დაისვას კითხვა: რა გარემოების გამო არ მოითხოვეს დიდებულებმა, მსგავსად ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენებისა, მისი გადაყენებაც.

ამის მიზეზი, უნდა ყოფილიყო მეჭურჭლეთუხუცესის გავლენები. მას ზემოქმედების ბერკეტები ჰქონდა, რითიც აკონტროლებდა პოლიტიკურ ველს ქვეყანაში. დაახლოებით მსგავსი ცხოვრების გზა განვლო სიმონ დე მონფორმა. 1230 წელს საფრანგეთიდან გადასახლდა ინგლისში, 1238 წელს ცოლად შეირთო ინგლისის მეფის, ჰენრი III-ის უმცროსი და ალიენორი, იყო პრინც ედუარდის აღმზრდელი.[22] 1248 წელს დაინიშნა აკვიტანიის მმართველად და მიენიჭა ლესტერის გრაფის ტიტული.[23]

ჯონ უმიწაწყლოს ვაჟი, მეფე ჰენრი III, მამამისის მსგავსად, შეეცადა გაეძარცვა მოსახლეობა გაზრდილი გადასახადებითა და იძულებითი სესხებით, რასაც 1263 წელს სამოქალაქო ომი მოჰყვა. [24] მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკს სათავეში ჩაუდგა გრაფი სიმონ დე მონფორი, რომელიც 1264 წელს მეფის ჯარების დამარცხების შემდეგ, ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი გახდა. მან მოიწვია ბარონთა „საერთო საბჭო“, რომელსაც „დიდი პარლამენტი“ ეწოდა. სწორედ 1265 წელი ითვლება ინგლისის პარლამენტის მუშაობის დაწყების თარიღად.[25] 1265 წელს ტახტის მემკვიდრემ, ედუარდმა ბრძოლაში ხელთ იგდო მონფორი, რომელიც მოკლეს და მისი სხეულის ნაწილები, როგორც „საჩუქარი“, გაუგზავნეს მის მომხრეებს.

---

[20] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 51.

[21] შეად. *Goodwin A.,* The Historiographical Representations of Simon de Montfort, Earl of Leicester, and Why his Legacy has Fluctuated from ‘Rebel’ to ‘Reformer’ According to Shifting Political Climate in British History, Research essay, №ATS3589, 3-4.

[22] *Ambler S. T.,* Simon de Montfort and King Henry III: The First Revolution in English History, 1258–1265, History Compass, John Wiley & Sons Ltd, Vol. 11/12, 2013, 1076-1077.

[23] *კაკაშვილი ლ.,* პარლამენტარიზმი ინგლისში, 2018, <shorturl.at/itH39> [18.12.2020].

[24] *Prothero G. W.,* The Life of Simon de Montfort, Earl of Leicester: With Special Reference to the Parliamentary History of His Time, London, 1877, 209-211.

[25] *Ambler S. T.,* Magna Carta: its Confirmation at Simon de Montfort's Parliament of 1265', English Historical Review, English Historical Review, Vol. CXXX, №545, 2015, 802-803.

30 წლის შემდეგ, 1295 წელს, იმავე ედუარდმა, ახლა უკვე ედუარდ I-მა, აღადგინა პარლამენტი იგივე სახით, როგორიც მონფორმა შექმნა.[26]

აშკარაა, რომ დაპირისპირების არსი, როგორც ქართული, ასევე ინგლისური რეალობიდან გამომდინარე, ერთია - წარმომადგენლობითი ორგანო, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მონარქების ქმედებანი დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. თამარმა მშვიდობიანი გზა არჩია ურთიერთობების მოსაგვარებლად, ხოლო ინგლისის მონარქი სასტიკად გაუსწორდა მოწინააღმდეგეს.[27] ალტერნატიული ისტორიის მიხედვით, თამარს დაპატიმრებული ყუთლუ-არსლანი სიკვდილით რომ დაესაჯა, მისი მომხრეები გაილაშქრებდნენ მონარქიის წინააღმდეგ და, მიუხედავათ ცენტრალური ხელისუფლების მედგარი წინააღმდეგობისა, შესაძლოა, მეფე დამარცხებულიყო და წარმომადგენლობითი ორგანოს იდეას - კარავის სახით - ეარსება, თუნდაც მცირე ხნით.

3. ქართველ მოაზროვნეთა შეხედულებები წარმომადგენლობით ორგანოსთან დაკავშირებით

წარმომადგენლობითი ორგანოს იდეა თამარის ეპოქის შემდეგ პირდაპირ ან თუნდაც ირიბად არ გაჟღერებულა ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში მე-18 საუკუნემდე. სწორედ ამიტომ, დროის აღნიშნული მონაკვეთიდან უნდა გაგრძელდეს პარლამენტარიზმის იდეის ძიება ქართველ დიდებულთა ნააზრევში. აქედან გამომდინარე, განსახილველია იოანე ბაგრატიონისა და სოლომონ დოდაშვილის ნაშრომები, წარმოდგენილი თემის ჭრილში, რომელთა გაზიარება მიზანშეწონილია, რადგან იმ ხედვას იზიარებენ, რასაც ყუთლუ-არსლანი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში სთავაზობდა ქართველ ერს. ამასთან, საყურადღებოა ალექსანდრე ამილახვრის შეხედულებანი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონტექსტში, რომელიც სათუოდაა ქცეული მეცნიერთა მიერ.[28]

3.1. ალექსანდრე ამილახვრის ხედვა

ალექსანდრე ამილახვარი ქართლის მსხვილი ფეოდალის, დიმიტრი ამილახვრის შვილი იყო. 1765 წელს ერეკლე II-ის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დიმიტრი ამილახვარი და მისი 15 წლის ვაჟი ალექსანდრე გაასამართლეს. [29] ალექსანდრე ამილახვრის ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა რაოდენობით მცირეა, მაგრამ ამ

[26] *კაკაშვილი ლ.,* პარლამენტარიზმი ინგლისში, 2018, <shorturl.at/itH39> [18.12.2020].

[27] *De Laborderie O., Maddicott J. R., Carpenter D. A.,* The Last Hours of Simon de Montfort: A New Account, The English Historical Review, Vol. 115, №461, 2000, 378-379.

[28] *გელეიშვილი პ.,* ალექსანდრე ამილახორი როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე, თბ., 1936, 24.

[29] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 98.

მცირე ნაწარმოებებს შორისაც არის კონკრეტული საკითხები, რომლის განხილვაც, ნაშრომის თემის შესაბამისად, არის შესაძლებელი.

მეცნიერი თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს მონარქის „მრავალ უფლებაზე“, მმართველობის მრავალ დარგზე და, აღნიშნავს, რომ მეფეს არ შეუძლია მმართველობის ყველა დარგის საქმიანობა აწარმოოს, ამისთვის მას ჰყავს მოხელეები. თუ მოხელე, რომელიმე დარგის უფროსი და მისადმი დაქვემდებარებული სხვა მოხელე იქნება ბოროტი, შეუფერებელი თავისი მოვალეობისა, ეს ნიშნავს იმას, რომ თვითონ მმართველობაა დასნეულებული.[30]

ალექსანდრე ამილახვრის წარმოდგენილი ნააზრევიდან გამომდინარე, მეცნიერები თვლიან, რომ ზოგადად მოხელეებზე არის საუბარი დასახელებულ ნაშრომში და არა ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე.

გასაზიარებელია იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში გაჟღერებულ აზრს ეწინააღმდეგებიან.[31] დიახ, იმ განმარტებაში, რომელიც იქნა წარმოდგენილი, შეუძლებელია ამოვიკითხოთ შტოებს შორის ბალანსის შესაძლებლობა ან მონტესკიესეული მოდელი ხელისუფლების დანაწილებისა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს წინგადადგმული ნაბიჯია სწორედაც, რომ იმ იდეებისა და მსოფლმხედველობისაკენ, რომელსაც ქართველი მოაზროვნეები შემდეგ წლებში იზიარებენ და რომელსაც ემხობიან ფილოსოფოსები, როგორებიც არიან ლოკი თუ მონტესკიე...

3.2. იოანე ბაგრატიონის ხედვა

იოანე ბაგრატიონი იყო შვილი გიორგი XII-სა. იოანემ მიიღო ისეთი განათლება, როგორიც მისი დროის მეფის შვილს შეეფერებოდა. იგი დიდი ნდობით სარგებლობდა სამეფო კარზე. იყო გიორგი XII-ის პირველი მრჩეველი. ბაგრატიონი მიეკუთვნება ქართველი ფეოდალური საზოგადოების იმ პროგრესულ ნაწილს, რომელიც საქართველოში განმანათლებელთა იდეებით გამოდიოდა.

იოანე ბაგრატიონის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტი, რომელიც მან 1799 წელს შეადგინა. ეს პროექტი სამხედო, ეკონომიკური, ფინანსური, ადმინისტრაციული და კულტურული ცხოვრების რეორგანიზაციას ითვალისწინებდა ევროპული სახელმწიფოების ნიმუშის მიხედვით, მაგრამ, ამასთანავე, ანგარიშს უწევდა საქართველოს სინამდვილეს.

მიუხედავად იმისა, რომ მისი რეფორმების ნუსხა პრაქტიკაში ვერ განხორციელდა, აღნიშნულის განხილვა იმ პროგრესული იდეების გაცნობის

---

[30] *გელეიშვილი პ.,* ალექსანდრე ამილახორი როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე, თბ., 1936, 26.

[31] *ჯანელიძე ო., თაბუაშვილი ა., თავაძე ლ., ირემაშვილი ნ.,* საქართველოს ისტორია, თბ., 2012, 140-145.

შესაძლებლობას მოგვცემს, რომელიც ეხება ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და მეტად წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობის იდეას.

იოანე ბაგრატიონი პირდაპირ არ მიუთითებს ხელისუფლების დანაწილების მონტესკიესეულ ხედვაზე, მაგრამ მის ნააზრევში შეგვიძლია ამოვიკითხოთ და შევნიშნოთ რიგი ნიუანსები, რომლებიც გვაფიქრებინებენ რომ, აი, სწორედ იოანე ბაგრატიონი იყო ის, ვინც საფუძველი ჩაუყარა იდეას შტოთა ბალანსისა და ძალაუფლების დანაწილებისა.

მოაზროვნეს განხილული აქვს ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის მიხედვითაც, იქმნებოდა ერთი მწყობრი სამმართველო აპარატი მინისტრიდან დაწყებული ადგილობრივ მოურავებსა, მამასახლისებსა და გზირებამდე. მოხელეებს ჯამაგირი შერეული წესით უნდა მისცემოდა, ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ ნატურით; ჯამაგირი აგრეთვე მეფესაც, დედოფალსა და უფლისწულებსაც უნდა მისცემოდათ. ადმინისტრაციული ორგანოს წარმოდგენილი კონცეფცია, რიგი ნიუანსებითა და კომპონენტებით, ჰგავს აღმასრულებელი ხელისუფლების შტოს, სადაც გვყავს მმართველი, იოანესეულ მოდელში, მეფე და მინისტრები, რომლებიც, სუბორდინაციის პრინციპზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობენ თავიანთ საქმიანობებს.

ბატონიშვილი საუბრობს სასამართლო ხელისუფლებაზე, რომლის გამარტივებასა და გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, მისი პროექტით რბილდება სისხლის სამართლის კოდექსი და, მაგალითისათვის, დამნაშავე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯებოდა სიკვდილით, თუ ის სამ მკვლელობას ჩაიდენდა, მაგრამ, ამავე დროს, სამშობლოს მოღალატეების მიმართ მკაცრ მიდგომას ემხრობოდა.

რეფორმის მოდელში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული სათათბირო ორგანოს არსებობასა და მისი დაკომპლექტების წესზე. ქვეყნისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით, ომის გამოსაცხადებლად და ზავის დასადებად, იოანე ბატონიშვილს სათანადოდ მიაჩნდა სათათბირო ორგანოს დაარსება, რომელშიც ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც შევიდოდნენ. „იყვნენ თორმეტი ჭკვიანნი კაცნი, კარგი შთამომავლობისანი, გამორჩეულნი, სამი ქართლიდამ, სამი კახეთიდამ, სამი თათრებიდამ, სამი მოქალაქეებიდამ, ესენი ყოველთვის იყვნენ რჩევასა ქვეყნის სარგებლობისასა და ანუ რაიცა საქმე მოხდებოდეს, ან აშლა ვისთანმე, ანუ შერიგება, ანუ მძიმე საქმეები; მეფის ბრძანებით განიხილავდნენ ამას და თავისსა განზრახულსა ერთად შეამოწმებდენ და მერეთ ისე დაამტკიცებდენ იმა საქმესა“. განმარტებას საჭიროებს აღნიშნული ციტატა, რომელიც საკმაოდ საინტერესო ნიუანსებს შეიცავს. ნათელია, რომ სათათბირო ორგანოს შემადგენლობაში შედის თორმეტი პირი, რომლებიც არიან კარგი შთამომავლობისანი, აქედან ცხრა პირი არის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულიდან წარმოდგენილი, ხოლო სამნი არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები.

აღსანიშნავია, რომ სათათბირო ორგანო და დარბაზი არ არის ერთი შინაარსის მატარებელი. როგორც ციტირებული ტექსტიდან ჩანს, თორმეტეული, მსგავსად დარბაზისა, მეფის მოწვევით იკრიბება, მაგრამ,

განსხვავებით დარბაზისაგან, სათათბირო ორგანოს, როგორც ჩანს, არ ხელმძღვანელობს მონარქი და მათ მიერ მიღებულ კონსესუალურ გადაწყვეტილებას მავალდებულებელი ძალა აქვს.

კონსესუალურობაში შეიძლება მოვიაზროთ გადაწყვეტილებანი, რომელიც მიიღება ხმათა უმრავლესობით ან აზრთა და იდეათა შეჯერებით. დარბაზის შემადგენლობაში შედიოდა როგორც საერო, ასევე სასულიერო პირები და წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განპირობებული იყო იმ საკითხების მიხედვით, რაც უნდა განხილულიყო და გადაწყვეტილიყო მეჯლისზე[32], ხოლო სათათბირო ორგანოში რაოდენობაც განსაზღვრული იყო დამსწრე პირებისა და მათ შემადგენლობაში სასულიერო ფენის წარმომადგენლები არ ირიცხებოდნენ, რაც კიდევ მიანიშნებს მის განსხვავებას დარბაზისაგან და მეტად აახლოებს წარმომადგენლობით ორგანოსთან.

დასაწყისში აღინიშნა, რომ დარბაზი და სათათბირო ორგანო მეფის მოწვევით იკრიბებოდა, მაგრამ, ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ინგლისის წარმომადგენლობითი ორგანო სწორედ მეფის მოწვევით იკრიბებოდა და, განსხვავებით იოანესეულ სათათბირო ორგანოსაგან, მას ხელმძღვანელობდა მონარქი.

მართალია, არ ჩანს აღნიშნული საბჭოს არჩევის წესი, მაგრამ მისი წევრი შესაძლოა ყოფილიყო ბურჟუაზიის წარმომადგენელიც და, რადგან ტერიტორიულ დანაწევრებას აქვს ადგილი, შეიძლება ყურადღების გამახვილება იმაზეც, რომ სათათბირო საბჭოში წარმოდგენილი პირები აჟღერებდნენ იმ მოსახლეთა ან დიდებულთა პოზიციას, საიდანაც ისინი აირჩიეს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მკრთალი კავშირი მაინც არსებობს სათათბირო ორგანოსა და, დღევანდელი გაგებით, წარმომადგენლობით ორგანოს შორის.

3.3. სოლომონ დოდაშვილის ხედვა

ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XIX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, ჟურნალისტის, პედაგოგის და ეროვნული მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის განმანათლებლურ იდეებსა და პოლიტიკურ-სამართლებრივ შეხედულებას.[33]

სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებებიდან მკვლევართა ყველაზე დიდ დაინტერესებას იწვევს ქართული ხალხისათვის მისაღებ სახელმწიფო მმართველობის ფორმასთან მისი დამოკიდებულების საკითხი, რადგან ცხოვრება-მოღვაწეობის მანძილზე სოლომონ დოდაშვილი ამჟღავნებს სიმპათიას როგორც მონარქიული, ისე რესპუბლიკური მმართველობის ფორმის მიმართ. მოღვაწის მიერ ჩამოყალიბებულ

[32] *მეტრეველი ვ.,* ქართული სამართლის ისტორია, თბ., 2016, 160-161.

[33] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 34.

პოლიტიკურ კონცეფციებთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია დოდაშვილის პოზიციის გაანალიზება, ნაშრომის თემატიკის ჭრილში.

საგულისხმოა, რომ სოლომონ დოდაშვილის კონცეფცია მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით არა ორ ეტაპად, არამედ სამ ეტაპად იყოფა, ესენია: მონარქიულიდან, კონსტიტუციურ მონარქიამდე და კონსტიტუციური მონარქიიდან რესპუბლიკამდე.

სოლომონ დოდაშვილის ერთგულებას ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისადმი და მონარქიული მმართველობის ფორმისადმი მიდრეკილებას თვალსაჩინოდ გვიჩვენებს 1827 წელს ბაგრატ ბატონიშვილის ძის მცირეწლოვან დავითის დაბადების დღისადმი დაწერილი ცნობილი მილოცვა. მილოცვის დასასრულს ვკითხულობთ: „...ჰსდექ ღვთისადმი, რათა იგივე უწინარესი სიხარული, იგივე ნათელი, იგივე დღესასწაულობა ჰყო შინა შენისა დღისა, ტირილი და გლოვა სიხარულად და ბნელი ივერიისა-ნათლად. მე და ყოველი სხვანი ერნი ივერიისანი არიან ერთხმობით, მღაღადებელნი და იქმნებიან მთხოვნელნი, რათა ძველათ მომდიანრებული მეფობა თქვენი განახლდეს თქვენს მიერ და ჰყოს კურთხეულ უკუნისამდე.“[34] სოლომ დოდაშვილის ამ სიტყვებში იგრძნობა და პირდაპირ, ნათლად, ყველანაირი შეფარვის გარეშე არის გაცხადებული მისი სურვილი საქართველოში (ივერიაში) მონარქიული მმართველობის აღდგენისა და მონარქად დავითის აღზევებისა. დოდაშვილს მიაჩნია, რომ დავითის გამეფებით და მონარქიული წყობილების აღდგენით ივერია გაბრწყინდება და ტირილსა და გლოვას სიხარული და ბედნიერება ჩაანაცვლებს.

ქართველი დიდებულები ორ ალტერნატივას განიხილავდნენ. პირველი, ეს იყო საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორება და დამოუკიდებლობის აღდგენა, ხოლო მეორე - რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სტატუსის მოპოვებისათვის ბრძოლა. ორივე სცენარის დასასრულს, საქართველოში მყარდებოდა მონარქია. საინტერესო აქ ის არის, რომ ბატონიშვილებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სავარაუდოდ, მხოლოდ საწყის ეტაპზე, მონარქია იქნება აბსოლიტური თუ კონსტიტუციური. მათი მიზანი იყო ძალაუფლების დაბრუნება. ბატონიშვილების აქტიური კომუნიკაციის მიზანი სხვა ქართველ დიდებულებთან, მათ შორის, სოლომონ დოდაშვილთან, იყო ქართველი საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვება, მათში ეროვნული ღირსების გრძნობის გაღვივება და მათი შემზადება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისათვის. ხოლო, საბოლოო, დიდი მიზანი, რომლისთვისაც აქტიურად აწარმოებდნენ ბატონიშვილები საინფორმაციო კამპანიას, იყო გათავისუფლებულ საქართველოში მონარქიული მმართველობის აღდგენა.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მონარქიული წყობილებით აღფრთოვანებული დოდაშვილი, რომელიც მონარქებს დავითის მემკვიდრედაც კი მიიჩნევს და ამით ფაქტობრივად აღიარებს სახელმწიფოს

[34] *დოდაშვილი ს.,* თხზულებანი, თბ., 1989, 389.

თეოლოგიურ წარმომავლობას და ეწინააღმდეგება მის შრომებში გამოთქმულ აზრს, დასაშვებად მიიჩნევს კონსტიტუციურ მონარქიას. მის მიერ დაწერილ წერილში გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილი ემხრობა მონარქიის იმ სახეს, რომელიც საქართველოში, მისივე სიტყვებით რომ აღინიშნოს, „ძველათ მომდიანრებული“ იყო. საქართველოს ისტორიას ახსოვს მეფეები შეუზღუდავი ძალაუფლებით, მცირედ შეკვეცილი ძალაუფლებით, ახსოვს უმეფობის ხანაც, მაგრამ ისტორიაში არასდროს ყოფილა დამყარებული კონსტიტუციური მონარქია. შესაბამისად, დავითი, მის სიტყვებში, ფართოდ რომ განიმარტოს, გულისხმობდა კონსტიტუციური მონარქიის გარდა, ყველა სხვა სახის ერთპიროვნულ მმართველობას, რომლის გამოცდილებაც ქართულ სამეფოს ჰქონდა.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილის სახელმწიფო მმართველობის კონცეფცია მონარქის შეუზღუდავი ძალაუფლებიდან დავიდა კონსტიტუციურ მონარქიამდე და მმართველობის აღნიშნული ფორმაც დასაშვებად მიიჩნია. შეიძლება ითქვას, რომ მისი ცხოვრების კონკრეტულ ეტაპზე მოხდა რიგი ცვლილებები, რამაც აიძულა მოაზროვნე ერთ-ერთ ალტერნატივად განეხილა მმართველობის დასახელებული ფორმა.

კონსტიტუციური მონარქიის იდეაზე და, ზოგადად, ერთპიროვნულ მმართველობაზე არ შეჩერებულა მოაზროვნე. გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ევოლუცია განიცადა მისმა აზრმა და შედეგად მიიღო სრულიად პროგრესული იდეა, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც კი რიგი სახელმწიფოებისათვის შესაშურია.

ხელოვნურ ევოლუციაში იგულისხმება ის რეალობა, რამაც აიძულა დოდაშვილი, ეფიქრა ახალ უალტერნატივო გამოსავალზე. როდესაც სოლომონი მიხვდა ქართველ ბატონიშვილთა ნამდვილ პოლიტიკურ მიზანს, რომელთაც, მხოლოდ და მხოლოდ, სამეფო ტახტის აღდგენა აინტერესებდათ. ამასთან, ჩაწვდა თავადაზნაურთა ზრახვებს - აღედგინათ დაკარგული პრივილეგიები. შესაბამისად, დოდაშვილმა გააცნობიერა, რომ ბრძოლა მონარქიისთვის, რა სახისაც ,უნდა ყოფილიყო ის, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ქვეყნისთვის და განუდგა იმ იდეას, რომელსაც მანამდე ემხრობოდა. დოდაშვილს საქართველოსთვის სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმად უკვე რესპუბლიკური მმართველობა ესახებოდა, ესეც იმ შემთხვევაში თუ კი რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომია მიენიჭებოდა.[35]

მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ, რადგან დოდაშვილი საქართველოსათვის ავტონომიური ერთეულისათვის დამახასიათებელ უფლებებს ითხოვდა, მას დამოუკიდებლობის იდეის არ სჯეროდა. აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელი არაა, რადგან საქართველოსათვის საწყის ეტაპზე ძალების, ეკონომიკის, ეროვნული სულის გაღვივებისათვის აუცილებელი იყო არა უმძიმესი ტვირთი, დამოუკიდებლობის სახით, არამედ ავტონომია,

[35] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 80-83.

რომელიც საშინაო საქმეების დამოუკიდებლად მართვა-გამგეობის საშუალებით შესაძლებლობას მისცემდა ქვეყანას მოეკრიბა ძალები და გაძლიერებულიყო. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებდით იმ მიზნის მიღწევას, რაც საწადელი იყო ყველა ქართველისათვის, მათ შორის, სოლომონ დოდაშვილისათვის.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკური მმართველობის იდეის აღიარების მიუხედავად, სოლომონ დოდაშვილი არ უარყოფს მის საწყის იდეებს და ამის არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ მოაზროვნე აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქართველ დიდებულთა მონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევს.[36] აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელი არაა, რადგან მონარქიული მმართველობა, მისი არსით, სრულიად განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლებაში რამდენიმე ბატონიშვილის ჩართულობისაგან. საგულისხმოა, რომ დოდაშვილის აღნიშნული კონცეფცია ისევ სახელმწიფოს საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარეობს, რადგან საქართველოში სამეფო ოჯახზე და საგვარეულოზე მეტად განათლებულნი და განსწავლულნი იმ ეტაპისთვის მცირედნი იყვნენ. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბატონიშვილების მონაწილეობისათვის მხარდაჭერა არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ დოდაშვილი ძველ იდეებს ვერ ელეოდა.

ევროპელ განმანათლებლებსა და რუს დეკაბრისტებს ჰქონდათ გავლენა სოლომონ დოდაშვილზე, რაც, იმ მიზეზთან ერთად, რომელიც დასახელდა, გახდა საფუძველი რესპუბლიკური მმართველობისადმი მისი განსაკუთრებული სიმპათიისა. უნდა აღინიშნოს, რომ დოდაშვილი იყო პირველი, რომელიც მეტად მიუახლოვდა იმ იდეას, რომელსაც ნაშრომი ეხება. მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად არ არის გამიჯნული რიგი საკითხები ერთმანეთისგან, იგრძნობა ის სულისკვეთება, რომელსაც მივყავართ საბოლოო მიზანთან.

1832 წლის შეთქმულების მასალები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საერთო სულისკვეთებაზე მმართველობის მოდელთან დაკავშირებით, სადაც გაზიარებულია სოლომონ დოდაშვილისა და სხვა მოაზროვნეთა შეხედულებანი. შეთქმულების ერთ-ერთი წევრის ჩვენებიდან დგინდება, რომ, საქართველოს მომავალი მმართველობის პროექტის მიხედვით, გათვალისწინებული ყოფილა ორი სამთავრობო სამმართველო - ზედა და ქვედა. ზედაში იქნებოდნენ არჩეული მეფე და წარჩინებული პირები, როგორც სამინისტროების ხელმძღვანელები, ქვედაში კი - არჩეული დეპუტატები ყველა მაზრიდან.

ცხადია, რომ, რიგ საკითხებში, ქართველი რესპუბლიკელების, მათ შორის, დოდაშვილის მოსაზრებანი გათვალისწინებულია, მაგრამ, ასევე, მხედველობაშია მიღებული სხვათა შეხედულებანი. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სახეზე გვაქვს კონსტიტუციური მონარქია, მაგრამ აღნიშნული გასაზიარებელი არაა, რადგან მეფე იყო არჩევითი თანამდებობის პირი და არა მემკვიდრეობითი, როგორც ეს კონსტიტუციური მონარქიის სახელწმიფოებისათვის არის დამახასიათებელი. მეფის არჩევის წესი ცხადად

[36] იქვე.

რომ ყოფილიყო ფორმულირებული, მეცნიერებსა და აღნიშნული სფეროთი დაინტერესებულ პირებს მეტად ფართო არეალი ექნებოდათ დასკვნების გამოსატანად, მაგრამ ცალსახად, უნდა იქნეს მიჩნეული, რომ შეთანხმება მხარეებს შორის არ იყო კონსტიტუციურ მონარქიაზე მისი კლასიკური გაგებით.

საინტერესოა წარმომადგენლობითი ორგანოს საკითხი, ჩვენების ჩანაწერებიდან ვხედავთ, რომ დეპუტატები არჩეულ იქნებოდნენ ხალხისგან და ქვედა სამთავრობო სამმართველოში გააჟღერებდნენ მათ პოზიციებს. აღნიშნული მეტად ახლოსაა პარლამენტთან, რაც რესპუბლიკური იდეისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, იდეა წარმომადგენლობითი ორგანოსი და, კონცეფცია, თუ როგორი სახით უნდა არსებულიყო ის საქართველოში, მეტნაკლებად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული აჯანყებულთა შეხედულებაში, სადაც იკითხება ქართველ რესპუბლიკელთა (მათ შორის დოდაშვილის) იდეები, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა.

4. ფილოსოფოსთა ნააზრევი წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობის ჭრილში

პარლამენტარიზმი თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე პირდაპირ დაკავშირებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან. [37] სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში ხელისუფლების დანაწილების იდეა პირველად ჯონ ლოკმა წამოაყენა.[38]

ჯონ ლოკი ერთმანეთისგან განარჩევდა სამი სახის ხელისუფლებას: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და საკავშირო, ანუ ფედერალურ. [39] აღნიშნული სამი სახის ხელისუფლებისაგან, ჯონ ლოკის აზრით, უმაღლესია საკანონმდებლო ხელისუფლება, მაგრამ ეს ხელისუფლებაც არ არის აბსოლიტური. [40] იგი არ უნდა ეხებოდეს ადამიანის ბინებით უფლებებს, მაგალითად, მას არ შეუძლია გადასახადების დაწესება ხალხის თანხმობის გარეშე. [41] მას მიაჩნია, რომ ადამიანები იყვნენ ბუნებით მდგომარეობაში თავისუფალნი, თანასწორნი და დამოუკიდებელნი, მაგრამ, რადგანაც უგუნურებაა ადამიანები თვითონ იყვნენ საკუთარი საქმეების მოსამართლეები, ამიტომ საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად, ისინი ერთიანდებიან საზოგადოებად.[42]

---

[37] იქვე, 47.

[38] იქვე.

[39] *Theriault A. S.,* John Locke and the Second Treatise on Government, Inquiries Journal/Student Pulse, Vol. 1, №10, 2009, <http://www.inquiriesjournal.com/a?id=6> [22.04.2022].

[40] *Hay R. (ed.),* Two Treatises of Government: John Locke, for the McMaster University Archive of the History of Economic Thought, Corrected Edition, 1823, 9, <https://www.yorku.ca/comninel/courses/3025pdf/Locke.pdf> [22.04.2022].

[41] *მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ.,* პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1999, 111-113.

[42] *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 47.

ლოკის შეხედულებანი მონტესკიემ მეტად სრულყოფილი სახით ჩამოაყალიბა, რომელიც იყო წარსულის აბსტრაქცია, თავისი დროისათვის იდეალი და მომავლისათვის კი-პროგრამა. [43] იგი აღნიშნავს: „თითოეულ სახელმწიფოში არსებობს სამგვარი ხელისუფლება: პირველი ხელისუფლების ძალით ხელმწიფე ქმნის მუდმივ ან დროებით კანონებს და წარმართავს ან აუქმებს არასრულ კანონებს. მეორე ხელისუფლების ძალით იგი აცხადებს ომს ან დებს ზავს, გზავნის ან ღებულობს ელჩებს, უზრუნველყოფს უშიშროებას, იგერიებს თავდასხმებს. მესამე ხელისუფლების ძალით იგი სჯის დანაშაულობებს და აგვარებს კერძო პირთა შორის წინააღმდეგობებს.“[44]

შარ ლუის აზრით, აუცილებელია საკანონმდებლო ხელისუფლება მიენიჭოს ხალხს, რომლებიც არჩევნების გზით აირჩევენ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლება მონტესკიესელ ხედვაში ეკუთვნის მონარქს, რომელიც აღასრულებს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სხვა მოაზროვნეთაგან განსხვავებით, მონტესკიემ პირველმა მიუთითა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, როგორც პოლიტიკური პრინციპი, ნიშნავს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების არა უბრალოდ დაყოფას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, არამედ ხელისუფლების ჰორიზონტალურ დანაწილებას, რაც უზრუნველყოფს ხელისუფლების უზურპაციის თავიდან აცილებას. მონტესკიე თვლიდა, რომ, როდესაც სასამართლო ხელისუფლება განცალკევებული არ არის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან,ამ შემთხვევაში, მოსამართლის ძალაუფლება თვითნებური ხდება, რადგან ის თვითონვე შეიქმნება კანონმდებელი და შესაძლებლობა ექნება მჩაგვრელი გახდეს. დიდი ფრანგი განმანათლებელი და სამართალმცოდნე აცხადებდა, რომ სასამართლო ხელისუფლება უნდა განხორციელებულიყო კანონით დადგენილი წესით, ხალხის წრიდან არჩეული პირების მიერ.

ჯონ ლოკამდე და შარ ლუი მონტესკიემდე ანტიკურ და შემდგომ პერიოდის მოღვაწეთა ნაშრომებშიც შეგვიძლია ამოვიკითხოთ ხელისუფლების დანაწილების იდეა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ისე სრულყოფილად, როგორც მონტესკიეს ნაშრომში, რომელიც აზრთა შეჯერების, მსჯელობისა და კრიტიკული შეფასების შედეგად ჩამოაყალიბა ავტორმა. ყურადღება უნდა გამახვილდეს მარსელიო პადუელის შეხედულებაზე, სადაც გამიჯნულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება

„მშვიდობის დამცველის“ ავტორმა მარსილიო პადუელიმ, რომელიც მოღვაწეობდა XIII-XIV საუკუნეებში, ერთ-ერთმა უპირველესმა გამიჯნა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. მოაზროვნეს მიაჩნდა,

[43] *დარბაიძე ლ.,* ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ., №1(40)’14, 2014, 48. - გამოცემის ადგილი

[44] იქვე.

რომ საკანონმდებლო ხელისუფლება განსაზღვრავდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციასა და კომპეტენციას. აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა არსებობდეს და საქმიანობდეს სწორედ იმ ავტორიტეტის წყალობით, რომელსაც მას ანიჭებს კანონმდებელი; მანვე მკაცრად უნდა დაიცვას კანონის მოთხოვნა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ვალია ხალხის- კანონმდებლის ნების აღსრულება.[45]

5. საქართველოს პირველი წარმომადგენლობითი ორგანო

„ყველაფერი შეიძლება წაართვა პიროვნებას, ერს, მაგრამ ვერავინ შესძლებს თავისუფლების შეგრძნება წაართვას მას“. სწორედ ეს დიდებული გამონათქვამია იმის ნათელი მაგალითი, რაც ხდებოდა საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში და, რამაც თანამედროვე საქართველოს ისტორიაში იფეთქა XX საუკუნის დასაწყისში. ქართველ ერს ყველაფერი წაართვა რუსეთმა, მაგრამ ვერ შეძლო თავისუფლების შეგრძნების, სურვილის აღმოფხვრა იმ პატრიოტ ადამიანებში, რომლებიც ქვეყნის ტკივილით და მისი სიყვარულით ცხოვრობდნენ. სწორედ ამის გამოვლინება იყო ის აჯანყებები და დაუმორჩილებლობა, რომელიც დაიწყო 1801 წელს და რომელიც დაგვირგვინდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

თავისუფლება ნიშნავს პასუხისმგებლობას, სწორედ ეს არის ის მძიმე ტვირთი, რომელზედაც საუბარი იყო სოლომონ დოდაშვილის ხედვასთან მიმართებით. მაშ შემდეგ, რაც პასუხისმგებლობები დაეკისრათ ქვეყნის თავისუფლების სადავეებთან მყოფ პირებს, რიგი ქმედებების განხორციელება თვითნებურად, დაუფიქრებლად შეუძლებელი გახდა. მოზომილი, სწორი, ტაქტიკური ნაბიჯების გადადგმა გახდა აუცილებელი, რომელთა მხოლოდ ერთი პირისთვის მინდობა სრულიად დაუშვებელი იქნებოდა, სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც დააკმაყოფილებდა ყველა იმ სტანდარტს, რომელიც განვითარებულ მსოფლიოში არსებობდა. სწორედ ამის უზრუნველსაყოფად, 1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პარტიული სიების მიხედვით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. 1919 წლის თებერვალში, არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს პირველი კონსტიტუცია, რომელმაც მხოლოდ ოთხი დღე იარსება, რადგან 25 თებერვალს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. სწორედ ქართული პარლამენტის ის შემადგენლობა, რომელმაც 1919 წლის 12 მარტიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ უმაღლეს

[45] *გარიშვილი მ.,* შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ., 2010, 64.

საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა.[46] 1918-1921 წლებში, ეროვნულმა საბჭომ და დამფუძნებელმა კრებამ მიიღეს 100-ზე მეტი სამართლებრივი აქტი, რომლებმაც საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება უზრუნველყო.[47]

დროის მცირე პერიოდში, რომელიც მიეცა ქართველ ერს, მეტწილად, სწორად იქნა დანახული სახელმწიფოს პრობლემა, განისაზღვრა ქვეყნის დემოკრატიულად გარდაქმნის სურვილი, ამის რეალიზებისთვის გატარდა რიგი რეფორმებისა, რომელიც ხანგრძლივ ვადიან პერიოდში გამოიღებდა სასურველ შედეგს, დაკომპლექტდა პირველი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიის განხილულ ეტაპზე, რომლის პროგრესულობაც ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში იგრძნობოდა და რომელსაც თეორიულად მრავალი მომხრე ყავდა სახელმწიფოში თუ მის ფარგლებს გარეთ.

1918 წლიდან 1921 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდში საქართველომ დაამტკიცა, რომ შეუძლია იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას ყველა მის გადაწყვეტილებასა თუ ქმედებაზე, რაც გამოიხატა კიდევაც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში და დაგვირგვინდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

დასკვნა

საქართველოში პარლამენტარიზმის იდეის ჩანასახი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში არსებობდა. აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდვის ყუთლუ-არსლანისეულ იდეასთან მკრთალი კავშირი იქნა დანახული ალექსანდრე ამილახვრის ნაშრომში, რომელიც ევოლუციას განიცდის შემდეგი ეტაპის მოაზროვნის იოანე ბატონიშვილის ნაშრომებში. მათი გაცნობისას უკვე იგრძნობა ხელისუფლების დანაწილების იდეა, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფუნდამენტური საფუძვლები, სადაც ვხვდებით წარმომადგენლობით ორგანოსთან მიახლოებულ სათათბირო საბჭოს, რომელიც, რიგი ნიუანსებით, ემსგავსება და ითავსებს ხალხის წარმომადგენლობითობას. აღნიშნული ბმა კულმინაციას აღწევს სოლომონ დოდაშვილის სახელმწიფო მმართველობის კონცეფციაში, ხოლო იდეის ხორცშესხმა ხდება 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევით.

სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეთა პოზიციების გაცნობამ საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩინა ხელისუფლების დანაწილების იდეის განვითარების პროცესი მსოფლიოში, მოგვცა საშუალება, დაგვენახა ქართველი დიდებულების იდეათა სრული თუ ნაწილობრივი კავშირი

[46] *კეჟერაშვილი შ.,* 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური პარტიების პროგრამები, თბ., 2019, 9-11.

[47] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული-1918-1921, თბ., 1990.

მსოფლიო ფილოსოფოსთა მოსაზრებებთან, ხოლო სოლომონ დოდაშვილის შემდგომ თაობას ქართველ თუ უცხოელ წარჩინებულთა შეხედულებების გაცნობამ საშუალება მისცა იმის გააზრებისა, რომ რესპუბლიკური მმართველობა და, რა თქმა უნდა, მისი შემადგენელი ნაწილი - პარლამენტი, არის ახალი წესრიგი მსოფლიოში.

წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნის იდეამ განვლო დაახლოებით 800 წელი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მას არ გააჩნია პარლამენტარიზმის განვითარების უწყვეტი ისტორია, ამ დროის განმავლობაში თეორიულად აღმოცენდა სხვადასხვა სახელმწიფო მოღვაწეთა ნაშრომებში და სრულყოფილად რეალიზდა XX საუკუნის 20-იან წლებში.

ბიბლიოგრაფია:

1. გარიშვილი მ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ., 2010, 64.
2. *გელეიშვილი პ.,* ალექსანდრე ამილახორი როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე, თბ., 1936, 26.
3. *დარბაიძე ლ.,* ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(40)’14, 2014, 48, 50, 51.
4. *დოდაშვილი ს.,* თხზულებანი, თბ., 1989, 389.
5. *კაკაშვილი ლ.,* პარლამენტარიზმი ინგლისში, 2018, <shorturl.at/itH39> [18.12.2020].
6. *მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ.,* პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1999, 111-113.
7. *მეტრეველი ვ.,* ქართული სამართლის ისტორია, თბ., 2016, 160-161.
8. *კეჟერაშვილი შ.,* 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური პარტიების პროგრამები, თბ., 2019, 9-11.
9. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული-1918-1921, თბ., 1990.
10. *სოსელია გ.,* ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური დასის პროგრამის შესახებ, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტომი X-XI, 1958, 58.
11. *სურგულაძე ივ.,* ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 2000, 34, 46-55, 80-83, 98.
12. *ყაუხჩიშვილი ს.,* ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, 15.
13. *ჯავახიშვილი ივ.,* ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაწილი II, თბ., 1929, 237-245.
14. *Ambler S. T.,* Simon de Montfort and King Henry III: The First Revolution in English History, 1258–1265, History Compass, John Wiley & Sons Ltd, Vol. 11/12, 2013, 1076-1077.
15. *Ambler S. T.,* Magna Carta: its Confirmation at Simon de Montfort's Parliament of 1265', English Historical Review, English Historical Review, Vol. CXXX, №545, 2015, 802-803.
16. *Bond M.,* The History of Parliament and The Evolution of Parliamentary Procedure, a Verbatim Transcript of Two Lectures, 1966, 3-4.
17. *Cavill P. R.,* A Short History of Parliament: England, Great Britain, the United Kingdom, Ireland, and Scotland, The Journal of Modern History, Vol. 83, №2, 2011, 404.
18. *De Laborderie O., Maddicott J. R., Carpenter D. A.,* The Last Hours of Simon de Montfort: A New Account, The English Historical Review, Vol. 115, №461, 2000, 378-379.
19. *Goodwin A.,* The Historiographical Representations of Simon de Montfort, Earl of Leicester, and Why his Legacy has Fluctuated from ‘Rebel’ to ‘Reformer’ According to Shifting Political Climate in British History, Research essay, №ATS3589, 3-4.

20. *Hay R. (ed.),* Two Treatises of Government: John Locke, for the McMaster University Archive of the History of Economic Thought, Corrected Edition, 1823, 9, <https://www.yorku.ca/comninel/courses/3025pdf/Locke.pdf> [22.04.2022].
21. *Hoskin P.,* Cantilupe's Crusade: Walter de Cantilupe Bishop of Worcester and the Baronial Rebellion, Transactions of the Worcestershire Historical Society, 2012, 91.
22. *Merriman R. B.,* The Cortes of the Spanish Kingdoms in the Later Middle Ages, The American Historical Review, Vol. 16, №3, 1911, 479.
23. *Prothero G. W.,* The Life of Simon de Montfort, Earl of Leicester: With Special Reference to the Parliamentary History of His Time, London, 1877, 209-211.
24. *Theriault A. S.,* John Locke and the Second Treatise on Government, Inquiries Journal/Student Pulse, Vol. 1, №10, 2009, <http://www.inquiriesjournal.com/a?id=6> [22.04.2022].

Kalenike Uridia*

The Way of Evolution of Georgian Parliamentarism from Isani Tent to Modernity

The topic is important for the Georgian reality with its essence and structure. Since Georgia was established as a state of a parliamentary republic, it is necessary to know the history of the representative body and the stages of its formation. The aim of the paper is to reconcile the theoretical thought of the events or figures in the history of Georgia around the representative body. The paper will discuss important aspects of Qutlu Arslan's revolt, Tamar's rule and power before and after Qutlu Arslan's uprising. In the context of comparative legal analysis, the focus will be on Simon de Montfort and English parliamentarism, based on the aims of the paper, the views of Ioane Bagrationi and Solomon Dodashvili on the need for a representative body and the formation of a democratic government will be reviewed. It will also focus on Locke and Montesquieu's views on the separation of powers, on the political ideas of Jean-Jacques Rousseau and Voltaire on the theory of state governance, and on the Republican political program of the Russian Decembrists. At the end, the position of the author will be formed as a conclusion.

Keywords: *Parliament, Isani, Representative Body, Reflective Democracy, Qutlu Arslan, Queen Tamar, Philosophers.*

* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, BA Student. Lawyer and International Relations Manager at the NGO Young Barristers and the Law Firm Kaikatsishvili and Barristers.